ყურანის მსოფლმხედველობა

პლაცდარმი კულტურული რეფორმისთვის



იასი-ს წიგნების სერია

ყურანის მსოფლმხედველობა

პლაცდარმი კულტურული რეფორმისთვის

აბდულჰამიდ აბუსულეიმანი

ადაპტირებულია ელისონ ლეიკის მიერ

International Institute
of Islamic Thought

გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2022

ქურანის მსოფლმხედველობა:
პლაცდარმი კულტურული რეფორმისთვის (Georgian)
აბდულჰამიდ აბუსულეიმანი
იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

© ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტი (იასი),
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი.
1443ჰ/2022
Paperback ISBN: 978-9941-33-223-4

The Qur'anic Worldview:
A Springboard for Cultural Reform (Georgian)
AbdulHamid Ahmad AbuSulayman
IIIT Books-In-Brief Series

© The International Institute of Islamic Thought, (IIIT)
1434AH/2013
Paperback ISBN: 978-1-56564-595-0
IIIT
P.O. Box 669,
Herndon, VA, 20172, USA
www.iiit.org

ინგლისურიდან თარგმნა: როლანდ შავაძე
თარგმანის თეოლოგიური რედაქტორი: ტარიელ ნაკაიძე
ფილოლოგიური რედაქტორი: ია ძირკვაძე
ცოდნის ინტეგრაციის ინსტიტუტი
საქართველო, თბილისი ც.დადიანი №7 ბიზნეს და სავაჭრო ცენტრი ქარვასლა A-508
ikiacademy.org

მომზადდა გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტთან თანამშრომლობით

საავტორო უფლება დაცულია. სავალდებულო გამონაკლისებისა და შესაბამისი კოლექტიური ლიცენზირების შესახებ შეთანხმების დებულებებიდან გამომდინარე, არცერთი ნაწილის გამრავლება არ შეიძლება მოხდეს გამომცემლების წერილობითი ნებართვის გარეშე.წინამდებარე ნაშრომში გამოხატული ხედვები და აზრები ეკუთვნის ავტორს და შეიძლება არ ემთხვეოდეს გამომცემლის მოსაზრებებს.

გამომცემლობა „უნივერსალი", 2022

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის მიერ მომზადებული მნიშვნელოვანი და ძირითადი პუბლიკაციების ამსახველ ღირებულ კოლექციას, რომელიც ორიგინალის, სრული ტექსტის, მკითხველი საზოგადოებისთვის მარტივად აღქმის მიზნით შემოკლებული ფორმითაა დაწერილი. აღნიშნული ნაშრომი, დროის დაზოგვის თვალსაზრისით, წარმოდგენილია გამარტივებული სახით - დაწერილია მოკლედ და მარტივად, ფართო მასებისთვის გასაგები ენით. თანმდევი რეზიუმეები გვთავაზობს დიდი პუბლიკაციების ყურადღებით დაწერილ დეტალურ მიმოხილვას, რაც იმის იმედს გვიტოვებს, რომ ჩვენი ნაშრომი მკითხველს ორიგინალის გაცნობის ინტერესს აღუძრავს.

აბდულჰამიდ აბუსულეიმანის **„ყურანის მსოფლმხედველობა: პლაცდარმი კულტურული რეფორმისთვის“** სრული სახით 2011 წელს გამოიცა და ავტორის არაბული ორიგინალის, *„ალ-რუ'Ძათ ალ-ქავნᲫა ალ-ჰᲐდარიᲫᲐ“* ინგლისურ თარგმანს წარმოადგენს.

ეს კარგად არგუმენტირებული და რეალობის ამსახველი ნაშრომი წარმოადგენს მცდელობას სწორი წარმოდგენა შეუქმნას მკითხველს მუსლიმური სამყაროს გაუარესებული მდგომარეობის, იმ ძალების შესახებ, რომლებმაც მუსლიმურ ცნობიერებაში ყურანისეული მსოფლმხედველობის გაცამტვერება გამოიწვია და იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ დაკნინების გამოსწორება. ცოტა ვინმე თუ არ დაეთანხმება ამ დიაგნოზს. აბუსულეიმანი სწორად აღნიშნავს, რომ ყურანის მსოფლმხედველობის აღდგენა არსებითად მნიშვნელოვა-

ნია ნებისმიერი ჭეშმარიტი და გრძელვადიანი ტრანსფორმაციისთვის. მისი მტკიცებით, სწორედ აღნიშნული ხედვის მკაცრმა ინტერნალიზაციამ და ყურანისა და სამოციქულო სუნას პრინციპების მკაცრად დაცვამ შეასრულა საკვანძო როლი ადრეული ისლამური თემის სტიმულირებაში, რათა მუსლიმებს ის წარმატება მოეპოვებინათ, რომელსაც მიაღწიეს და მოეხდინათ გავლენა, რომელიც დღემდე იგრძნობა. მუსლიმები დიდი ხნის განმავლობაში ცდილობდნენ ამ რთული ვითარებიდან გამოსვლას. ავტორის მტკიცებით, ყურანის მსოფლმხედველობის მეშვეობით ისლამური იდენტობის ხელახლა დაბადება ჩვენი დროის ძირითადი მოთხოვნა და ისლამური თემის *(უმმა)* სამომავლო სიცოცხლისუნარიანი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

აბდულჰამიდ აბუსულეიმანის ორიგინალის
ადაპტირებული გამოცემა
ყურანის მსოფლმხედველობა: პლაცდარმი
კულტურული რეფორმისთვის
აბდულჰამიდ აბუსულეიმანი
ISBN hbk: 978-1-56564-366-6
ISBN pbk: 978-1-56564-365-9
2011

შესავალი

ამ წიგნის მიზანია ისლამური სამყაროს დაკნინებული მდგომარეობის მიზეზების გამოკვლევა და მუსლიმთა წინაშე მდგარ ერთ-ერთ საკვანძო კითხვაზე პასუხის გაცემა. კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს დაკნინების ტენდენციის აღმოფხვრა და ისლამის ერთ დროს დიადი ცივილიზაციის ბრწყინვალების აღდგენა. ავტორი გვთავაზობს ყურანის მსოფლმხედველობის აღდგენის ისეთ ხერხებსა და გამოსავალს, რომლებმაც ახალგაზრდა მუსლიმურ თემს კეთილდღეობის მიღწევის საშუალება მისცა და რომლის პრინციპებიც დღესაც გამოსადეგარია. დღეისათვის ყურანის მსოფლმხედველობის მეშვეობით ისლამური იდენტობის ხელახლა დაბადება, ისლამური სამყაროს სამომავლო ჯანსაღი და ცხოველმყოფელი განვითარების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ამ მსოფლმხედველობას შეუძლია მეტი დინამიკის, პოზიტიური ენერგიისა და შემოქმედებითობის უზრუნველყოფა ჯანსაღი ადამიანური ცივილიზაციისთვის. ისლამური თემის მსოფლმხედველობისა და დროთა მანძილზე მის მიერ განვლილი ეტაპების დეტალური, ამომწურავი განხილვის შედეგად, წიგნი ისლამური ცივილიზაციის საწყის წლებში მისი პროგრესისა და წინსვლის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ მიზეზს გამოკვეთს. ამასთანავე, ის ნათლად წარმოაჩენს ფაქტების დამახინჯების მნიშვნელოვან ასპექტებს, რამაც მუსლიმურ თემ-

ზე ზეგავლენა მოახდინა მომდევნო საუკუნეებში და აღ-
ნიშნულის გათვალისწინებით გამოსავალს გვთავაზობს.

მიუხედავად მუსლიმი ხალხების დასავლეთით აღ-
ფრთოვანებისა და დასავლური ჩვევების გათავისებისა
ცხოვრების ყველა სფეროში, მათი მიბაძვა მხოლოდ ხე-
ლოვნურ ხასიათს ატარებდა, მაშინ როდესაც მათი სა-
ზოგადოებები განუხრელად კნინდებოდნენ განვითარე-
ბისათვალსაზრისით და დაუდევრობის მიზეზით. არაფე-
რი შეიცვლება მანამ, სანამ მუსლიმები ისეთ მსოფ-
ლმხედველობას არ შეიმუშავებენ, რომელიც კონსტრუქ-
ციული ქმედებებისა და რეფორმისთვის ჭეშმარიტ მნიშ-
ვნელობას, მიზანსა და მოტივაციას უზრუნველყოფს.

იმედია, რეფორმატორი მოაზროვნეები და ლიდე-
რები ნაყოფიერად ჩაერთვებიან ყურანის მსოფლმხედვე-
ლობის საკითხის კვლევაში მისი სიღრმისეული შესწავ-
ლისა და მუსლიმური თემის წევრი ვაჟებისა და ქალიშ-
ვილების გულებსა და გონებაში ისლამური ხედვის და-
ნერგვის გზით, ბავშვების აღზრდის, განათლებისა და
პროფესიული ტრენინგების ჩატარების ფორმით.

თავი პირველი

ყურანის მსოფლმხედველობა და კაცობრიობის კულტურა

ნებისმიერი კულტურული სისტემა ასოცირებულია მსოფლმხედველობასთან, რომელიც მას საფუძვლად უდევს და რომლის ამოქმედებასაც ახდენს განსაკუთრებული აზროვნების წესი. რაც უფრო ნათელი, პოზიტიური, ყოვლისმომცველი და მოქნილია აზროვნების მიერ არჩეული გზა და რაც უფრო ნათლად ასახავს ის მასთან ასოცირებულ კულტურულ სისტემასა და მსოფლმხედველობას, მით უფრო ეფექტური და დინამიური იქნება ეს კულტურული სისტემა.

ყურანის მსოფლმხედველობა რეფორმისთვის საჭირო საფუძველს შეიცავს. ის დამაჯერებელი, თანმიმდევრული, სამეცნიერო ფორმით უნდა აისახოს ისლამურ საზოგადოებათა სტრუქტურაში, მათ პროგრამებსა და მიღებულ შედეგებში. ისლამური მსოფლმხედველობის სტრუქტურისა და შინაარსის გაცნობიერების ნაკლებობამ მისი სიცოცხლისუნარიანობის, გამძლეობის, აქტუალობისა და ინტელექტუალური პროდუქტიულობის დაკარგვა გამოიწვია. მიუხედავად ისლამურ მემკვიდრეობაში არსებული ნაშრომებისა და აღქმისთვის მეთოდოლოგიური მიდგომების სიუხვისა, ისლამური პრინციპები, კონცეპტები და ღირებულებები მოკლებულია ზეგავლენის მოხდენის უნარს.

ნათელი, თანმიმდევრული და რეალისტური მსოფლმხედველობა წარმატებული იქნება დოქტრინალური ძალის სახით, რომელიც ადამიანების ფსიქოლოგიურ,

სულიერ და ინტელექტუალურ ცხოვრებას აყალიბებს და პრინციპებიდან გამომდინარე მოქმედებისკენ უბიძგებს. ბუნდოვან მსოფლმხედველობას კი, რომელიც დაშორებულია რეალობას, მხოლოდ მცირე გავლენა შეიძლება ჰქონდეს ინდივიდთა ცხოვრებაზე ანდა საზოგადოების მდგომარეობაზე. დღეს მუსლიმ თემს ისლამური მსოფლმხედველობის სიღრმისეულად შესასწავლად აკლია განმანათლებლური აღქმა და სათანადო ინტერესი. სწორედ ამ ყველაფრის შედეგია ისლამური საზოგადოების პასიურობა, დაკნინება და ჩამორჩენილობა უკანასკნელი რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

მუსლიმი ინტელექტუალების მონუსხვამ დასავლური მოდელის სამეცნიერო და მატერიალური მიღწევებით, მათ სწორედ დასავლური მენტალიტეტისა და მასზე დაფუძნებული მსოფლმხედველობის გათავისებისკენ უბიძგა. ნაცვლად ამისა, მუსლიმური აზროვნების წესის რეფორმირება უნდა მოხდეს მუსლიმური ტრადიციების კრიტიკული შესწავლისა და განხილვის გზით. ამგვარი კვლევა შესაძლებელია შეეხოს ისლამური აზროვნების, სოციალური სტრუქტურისა და კულტურის სტატუსის დაკნინების მიზეზებს. მუსლიმმა ინტელექტუალებმა უნდა გადალახონ მათი ბრმა გატაცება დასავლური საშუალებებით, გაითავისონ ობიექტურობა და კონსტრუქციული კრიტიციზმი საკუთარ ისტორიისა და კულტურის აღსაქმელად. ისლამური მსოფლმხედველობა შეიცავს დოქტრინალურ საფუძველს და ისლამური თემისთვის საჭირო ინტელექტუალურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ სტიმულს იმის აღსადგენად, რაც დაიკარგა.

მუჰამად (ს.ა.ს)[1] შუამავლის და მართლმორწმუნე ხალიფების (ალ-ხულაფა’ არ-რაშიდუნ ოთხი ხალიფა, აბუ ბაქრი, ‘უმარი, ‘უსმანი და ‘ალი) დროინდელი მიღწევები, გამომდინარეობდა სამყაროსა და კულტურაზე მათი ცხოველმყოფელი, ეფექტის მომტანი ხედვიდან. მათი მსოფლმხედველობა სამეწარმეო სულისკვეთებას, დინამიზმს, ინტელექტუალურ და ემოციურ ძალას შეიცავდა. ამ ადამიანების ისტორიული საგმირო საქმეები დღესაც ღრმადაა აღბეჭდილი ისლამური თემის გონებასა და ცნობიერებაში. ჩვენ სწორედ იმ მსოფლმხედველობის მთავარი თავისებურებები უნდა გავიაზროთ, რომლებითაც წინა თაობები საზრდოობდნენ და ხელმძღვანელობდნენ, ასევე ისიც, თუ როგორ იცვალა სახე ამ მსოფლმხედველობამ.

ჩვენს დღევანდელ ვითარებაში ასახული რადიკალური ცვლილებების გათვალისწინებით, აუცილებელია, ერთმანეთისგან გავმიჯნოთ, ერთი მხრივ, ხედვა, რომლითაც მუსლიმთა ადრეული თაობები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო გვიანდელი ხანის ჩვენი წინაპრების მემკვიდრეობის მძიმე ტვირთი. თანამედროვე მსოფლმხედველობა წარმოადგენს რეაქტივირებულ მოძღვრებას, რომლის რიტორიკაც ახალისებს ჩაგვრას, მარცხს, პასიურობასა და მარგინალიზაციას. მეორე მხრივ, ყურანის მსოფლმხედველობის წარმატების მიზეზი გასულ ხანებში, საკუთარი „მე“-ს თვითდამკვიდრებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა იყო როგორც ინ-

---

1. سلم و عليه الله صلى: (ṣალლა ლლაჰუ ‘ალაეჰი ვა სალლამ) ქართულად: ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას, ეს არის ისლამური თეოლოგიური ფორმულა, რომელიც გამოიყენება, როცა წმინდა მუჰამად შუამავლის სახელი „მუḥამმად“ იქნება ნახსენები.

დივიდუალური, ასევე თემობრივი გზით. როდესაც ადამიანები ისლამის ადრეულ წლებში ყურანის კონსტრუქციული მსოფლმხედველობით ხელმძღვანელობდნენ და მისი გავლენით ცხოვრობდნენ, მათი ღვთისგან ბოძებული სულიერება სამართლიანობის, მოწყალების, ძმობისა და მშვიდობის ღირებულებებს ეფუძნებოდა. უზანაესი ალლაჰი ბრძანებს: „***ის მხოლოდ შეგონებაა სამყაროთათვის, იმათთვის ვისაც სურს თქვენგან, რომ დაადგეს ჭეშმარიტებას!*** (ყურანი- 81:27-28).

ორაზროვნება და გაურკვევლობა ისლამურ მსოფლმხედველობაში თანდათანობით დამკვიდრდა შუამავლისა და მართლმორწმუნე ხალიფების ეპოქის[2] დასრულების შემდეგ. ისლამური გზავნილის უპირველესი მატარებლის მეურვეობის ქვეშ მყოფი შუამავლის კომპანიონების თემი, რომელიც წმინდა ყურანის სიტყვებით იყო ნასაზრდოები, თანდათანობით გაქრა. ამას მოჰყვა იმ დროის შერყვნილ, აგრესორ იმპერიებთან დაპირისპირება: სპარსეთის და ბიზანტიის იმპერიებთან. შედეგად, აჯანყებულმა უდაბნოს არაბთა ტომებმა დაამარცხეს მუსლიმური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები და დააკნინეს მისი პოლიტიკური ცხოვრება (პრაქტიკულად დასრულდა მართლმორწმუნე ხალიფების ეპოქა). უდაბნოს არაბებისთვის ისლამი სიახლეს წარმოადგენდა და ისინი კვლავაც განიცდიდნენ პრიმიტიული რასისტული ტომობრივი ღირებულებებისა და სოციალური ტრადიციების ზეგავლენას.

---

2. მუჰამად შუამავლის შემდეგ მმართველი ოთხი ხალიფის, აბუ ბაქრი, ‘უმარი, ‘უსმანი და ‘ალის მმართველობის ეპოქა.

რეგიონულმა კონფლიქტებმა, უდაბნოს მკაცრ პირობებში ცხოვრებამ და მწირი ბუნებრივი რესურსების ფლობისთვის ტომთა შორის ხანგრძლივმა ქიშპმა, ხელი შეუშალა ისეთი ღირებულებების გათავისებას, როგორიცაა სოლიდარობა და ზეტომობრივი ცნობიერება, რომელიც საფუძვლად უდევს ისეთ ისლამურ სოციალურ ინსტიტუტებს, როგორიცაა ოჯახი, მოქალაქეობა, ასევე სახელმწიფოსა და ერის კონცეპტები. ყურანი ნათლად წარმოაჩენს ბედუინთა ტომების ბარბაროსობას და პრიმიტიულ აზროვნებას. მათი უარყოფითი გავლენა ისლამურ პოლიტიკურ ცხოვრებაზე აისახა მართლმორწმუნეობაზე დაფუძნებული სახალიფოს დაშლითა და სასტიკ უმაჯჯანთა დინასტიის ხელისუფლების სათავეში მოსვლით. მათი აზროვნების პრიმიტიულმა წესმა და ადამიანთა ურთიერთობებისადმი რასისტულმა მიდგომამ კიდევ უფრო მეტად დააფარა ბინდის საბურველი ყურანის მსოფლმხედველობას. დროთა განმავლობაში კიდევ ერთი მნიშვნელოვან შემაფერხებლად ბერძნული აზროვნებისა და ლოგიკის ფორმალიზმი, მისი დოქტრინისა და ფილოსოფიის მითებისკენ გადახრა იქცა.

აღნიშნულმა მოვლენებმა საჯარო და პოლიტიკურ სფეროში დაქვემდებარებაზე დამოკიდებულება გაზარდა, იმავდროულად კი ისლამური მსოფლმხედველობის არაერთი ასპექტი დაამახინჯა და ბუნდოვანი გახადა. ამგვარად, რელიგია თანდათანობით ჩადგა პოლიტიკური მმართველებისა და მათდამი დაქვემდებარებულების სამსახურში. ინტელექტუალურმა და დოქტრინალურმა გაურკვევლობამ, მუსლიმური თემის სულიერების დასუსტების პარალელურად, გამოიწვია ისლამური მსოფ-

ლმხედველობის კიდევ უფრო დაკნინება. ეს მოვლენები აშკარად თვალსაჩინო გახდა უმაიანთა ეპოქის მიწურულს, ისლამური სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის დეზინტეგრაციისა და ცივილიზაციის განახლებისთვის საჭირო ყურანის საფუძვლებისგან გადახვევის გზით. ეს მოიცავდა ღვთის მიერ ბოძებულ წინამძღოლობას, შესაქმისის მიზანმიმართულობას, ადამიანის ბუნების წესებს დაქვემდებარებულ ხარისხს, ადამიანის ქცევის ეთიკურ საფუძვლებს, ასევე სამართლიანობის, ძმობის, უფლის ერთადერთობის, კონსულტაციის, თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და კონსტრუქციული ქმედების პრინციპებს.

მიზნისა და მოტივაციის არსის გაქრობასთან ერთად, რომელიც ერთ დროს ერს წინ უბიძგებდა, გაქრა პროგრესიც, კრეატიულობაცა და კონსტრუქციული ქმედებებიც. ამის შედეგად შექმნილი ვაკუუმი კი მორჩილებისა და დაშინების რიტორიკით შეივსო, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა გულგრილობა და უძლურება. ამ ყველაფერს შედეგად კონფლიქტი, ფრაგმენტაცია, ჩამორჩენა და ინსტიტუციონალური დისფუნქცია მოჰყვა, მთელს ისლამურ იმპერიას კი ტირანული რეჟიმები მართავდნენ.

სავარაუდო კონფლიქტი გამოცხადებასა და გონებას შორის მუსლიმური თემებისთვის ის ილუზიაა, რომელსაც არ აქვს საფუძველი ადამიანურ ბუნებასა და ობიექტურ რეალობაში. კითხვის ნიშნის ქვეშაა გამოცხადების ჩაწერილი ტექსტები, ადამიანის ბუნებისა და სამყაროს მმართველი კანონების რეალობა. გონების მთავარი ფუნქციაა იმის დადასტურება, რომ გამოცხადება

ადამიანურ ბუნებასა და ფართო სამყაროს რეალობას აღწერს. რამდენადაც გამოცხადება და უნივერსალური კანონები ერთი და იმავე წყაროსგან მომდინარეობს, არ არსებობს შეუთავსებლობა ღვთიური გამოცხადებიდან წარმომდგარ წინამძღოლობასა და რეალურ მნიშვნელობას შორის.

ყურანი არ შეიცავს „ცნობიერების“ ან „გონების“ დამოუკიდებლად ხსენებას. ცნობიერებასთან და გონებასთან დაკავშირებული საკითხები ებმის არა თავად გონებასა და მის აქსიომებს - რომლებიც ადამიანური ბუნების უცვლელი ასპექტია - არამედ იმას, თუ როგორ გამოიყენება გონება და მისი უნარები.

ყურანი ხშირად საუბრობს აღქმის (გაგების) (ათ-თადაბბურ) პროცესზე, მავანის გონების *(ალ-ʻაკლ/-თა ʻაკკულ),* რეფლექსიისა *(ათ-თაფაქქურ)* და ხედვის *(ალ-იბṣარ)* უნარის გამოყენებით. როდესაც სწავლულებს აკლდათ საკმარისი ცოდნა თუ ინფორმაცია მათ ანალოგიებში შეცდომების აღმოსაჩენად, ისინი მარტივად ისეთ ინტერპრეტაციებს იყენებდნენ, რომლებიც ისლამური სამართლის ზოგად სულისკვეთებას შეესაბამებოდა და რომელთაც ისინი ადამიანთა კეთილდღეობის მოთხოვნებთან შესატყვისად აღიქვამდნენ: ისინი უპირატესობის მინიჭების იურიდიულ პრაქტიკას *(ისთიჰსან)* იზიარებდნენ. აღნიშნული მიდგომა *„მაკაṣიდ აშ-შარიʻას“* (ისლამური სამართლის უმაღლესი განზრახვები) დისციპლინის ფარგლებში ჩამოყალიბდა. ის უნივერსალურის საფუძველზე კერძო შემთხვევებს შესწავლას ითვალისწინებდა, რათა რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ისლამური სამართლის სულისკვეთებასთან შე-

საბამისობა უზრუნველეყო. ამ გზით სწავლულებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეცვათ ადამიანების სულიერი და მატერიალური ინტერესები.

გამოცხადების სწორი გაგება და აღქმა არ შეიძლება მოითხოვდეს იძულებას, ძალდატანებას ან ადამიანური ბუნების თუ კოსმოსის კანონების უარყოფას. ღვთიურმა გამოცხადებამ ჩვენი საკუთარი ჭეშმარიტი ბუნების და ზოგადად შესაქმისის გაცნობიერებამდე მიგვიყვანა: ეს არის სამართლიანი, ჯანსაღი, კრეატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთადერთი გზა. ეს გამოცხადება მოუწოდებს და წარმართავს ადამიანებს იმისკენ, რომ გააქტიურონ თავიანთ ნებელობა, რათა მათ კეთილი საქმეები აკეთონ. მაგალითად, ყურანის მითითება *„იკითხე“* მიზნად ისახავს, რომ მივმართოთ ჩვენი ადამიანური შესაძლებლობები კეთილი საქმეების კეთებისკენ და ის მოტივირებულია რწმენით, სიბრძნით და ეთიკური მიზნობრიობის შეგრძნებით. ყურანის მსოფლმხედველობა არ უშვებს რეალური კონფლიქტის არანაირ შესაძლებლობას გამოცხადებასა და ბუნების მოვლენებს შორის, როგორც ადამიანურის, ისე კოსმიურის. ერთადერთი რამ, რაც მაძიებელს სიმართლის დადგენისთვის მოეთხოვება, არსებული მონაცემების შედარება და აწონ-დაწონვაა.

შუამავლის კომპანიონების გარდაცვალების შემდეგ, მუსლიმურ თემს რომ გაეგრძელებინა ყურანის მსოფლმხედველობის დაცვა, ჩვენ, როგორც ერი, შევძლებდით ჩვენი ერთიანობის შენარჩუნებას, ისლამურ სოციალურ მეცნიერებებში წინამავალი როლის შესრულებას და თავიდან ავირიდებდით მოქიშპე ფრაქციებად

დაყოფას. თუმცა, დროთა მდინარებაში ჭეშმარიტება და ადამიანის ნამდვილი ინტერესები უგულებელყოფილ იქ-ნა, ხოლო თემი დანაწევრდა. რომ გაგრძელებულიყო ყურანის კონცეპტებისა და განმარტებების მიერ ისლა-მური აზროვნების მართვა, ნათელი გახდებოდა, რომ შუამავლის სიტყვები უდაბნოს არაბთა ტომების მიმართ, მორგებული იყო მათ სპეციფიკურ მოთხოვნილებებზე, შესაძლებლობებზე, კულტურასა და ისტორიაზე. დროთა განმავლობაში, ყურანი მხოლოდ რეციტაციისა და და-მახსოვრების მეშვეობით დალოცვისა და ზეციური საზ-ღაურის მიღების საშუალებად განიხილებოდა, მაშინ რო-ცა, იჯთიჰადი (მისი მნიშვნელობის ახალი და შემოქმე-დებითი ხერხებით გაგების მცდელობა) არ არსებობდა.

ისლამური კვლევების ისტორიის სიღრმისეული შესწავლა ნათელს ხდის, რომ ტომობრივმა გზებმა და მათმა აზროვნებამ, მუსლიმურ თემში არაარაბი ხალხე-ბის ჩართვასთან ერთად, მნიშვნელოვანი ზეგავლენა მო-ახდინა არაბული სახელმწიფოს არსებობაზე. და მაინც, ყურანი დღემდე რჩება კონსტიტუციად, მარადიულ გზავნილად, მოწოდებად, კანონად და ყველა დროსა და სივრცეში სიცოცხლისუნარიან მსოფლმხედველობად. მის ფუნქციას არ წარმოადგენს ინსტრუქციების გაცემა ან გარკვეულ დროსა და ადგილას საზოგადოების მარ-თვისთვის კანონების წარმოდგენა; ნაცვლად ამისა, ის წარმოადგენს მარადიულ, ღვთისგან ზეშთაგონებულ მსოფლმხედველობას.

გარდა ამისა, როდესაც სუნა, ანუ შუამავლის ჰა-დისები (გადმოცემები) მომავალ თაობებს გადაეცათ, მე-დინას სკოლის მოაზროვნეების დასკვნები სრულად შეე-

სატყვისებოდა შუამავლის ნააზრევსა და ნამოქმედარ-
თან. მეორე მხრივ, იმამ აჰმად იბნ ჰანბალის - უკანას-
კნელი სუნიტური სამართლებრივი სკოლის დამაარსებ-
ლის - მოსაზრებები დიდწილად განსხვავდებოდა შუა-
მავლის პერიოდში არსებული ისლამური საზოგადოებისა
და მედინის ნააზრევისგან. ჰანბალის ნაშრომმა ხელი შე-
უწყო ჰადისების კრებულისა და ენციკლოპედიების გავ-
რცელებას, რომლებიც სულაც არ წარმოადგენდა იმ შუ-
ამავლისა და ყურანის მოძღვრებებისგან წარმომდგარ
სიბრძნის წყაროს.

მუსლიმ სწავლულთა უმრავლესობა ფოკუსირებუ-
ლი იყო პიროვნულ ღვთისმოსაობაზე, ან როგორც შემ-
დგომ იწოდა, თაყვანისცემის სხვადასხვა მეთოდზე
(ʻიბäდäთ) - თუმცა, ნებისმიერი ქმედება, რომელსაც კე-
თილი განზრახვით მოქმედი მუსლიმი ახორციელებს, იქ-
ნება ეს საჯარო, თუ პირადი ხასიათისა, წარმოადგენს
თაყვანისცემის ერთგვარ ფორმას. მსგავსად, სწავლუ-
ლები აქტიურად ჩაებნენ პირადი სტატუსის განმსაზ-
ღვრელი კანონებისა და რეგულაციების შექმნაში, რომ-
ლებიც ისეთ ყოველდღიურ ურთიერთობებს არეგული-
რებდნენ, როგორიცაა მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკ-
რულებები. შედეგად, მმართველობის საკითხებისა და
საზოგადოებრივი ინტერესების შესახებ ნაშრომების და-
საწერად, არც დრო დარჩა და არც ენერგია. ისლამური
მსოფლმხედველობა კი, რომელიც საჯარო და კერძო
სფეროების მიმართ დაბალანსებული მიდგომით გამოირ-
ჩეოდა, თითქმის სრულად გაქრა. ის, რაც დარჩა, იყო
რიტორიკა საფრთხეებისა და დაშინების შესახებ, რომე-
ლიც დიდწილად ეფუძნებოდა ვარაუდს, რომ მუსლიმი

მოსახლეობის უმეტესობას ბედად ერგო უმეცრად დარ-
ჩენა.

შუამავლის გზავნილი კი მისი მიმდევრებისთვის ნი-
შანდებული იყო თანმიმდევრული სიყვარულით, ღირსე-
ბის დაცვით, პატივისცემითა, მათი კეთილშობილური
თვისებების, მიღწევებისა და ღვაწლის აღიარებით. ყუ-
რანის მსოფლმხედველობა ეთიკურ, მონოთეისტურ, მი-
ზანმიმართულ და პოზიტიურ ხედვას წარმოადგენს
მსოფლიოზე და ასახავს ღმერთის მიერ ჩვენში შექმნილ
ჯანსაღ, კარგად დაბალანსებულ ადამიანურ ბუნებას.
შედეგად, სამეცნიერო, სამართლებრივად გამართული
პერსპექტივა დედამიწისა და მისი დოვლათის პასუხის-
მგებლობით მართვას უჭერს მხარს. მუსლიმი, რომელიც
ჩაწვდება ყურანის მსოფლმხედველობას, უფლის მიერ
მისთვის ბოძებულ ბუნებასთან ჰარმონიაში იცხოვრებს,
რაც არსებითად კარგია. ჩვენ, როგორც მუსლიმები, მო-
წოდებულნი ვართ ჩვენი შვილების გონებასა და გულებ-
ში სიყვარულის, ღირსებისა და მშვიდობის აღქმა დავ-
ნერგოთ.

მიუხედავად ჩვენს დღევანდელ მატერიალისტურ
კულტურაში უარყოფითი ინტელექტუალური და კულ-
ტურული გავლენებისა, უნდა განხორციელდეს ისეთი
სოციო-ფსიქოლოგიური კვლევები, რომლებიც ასახავს
ყურანის მსოფლმხედველობასა და მუსლიმთა განუზო-
მელ სიყვარულს უფლის მიმართ. ამგვარმა კვლევებმა
უნდა მიიღოს ლიტერატურული ფორმა და მოიცვას
მშობლებისა და სკოლის საგანმანათლებლო მასალები.
ზრდასრულ აუდიტორიასთან ურთიერთობისას კი ყუ-
რადღება უნდა დაეთმოს ღვთის მიერ დალოცვასა და

პროვიდენციალურ მზრუნველობას, ასევე იმას, თუ როგორ მიაგებდა პატივს უფალი ადამიანებს.

ჩვენ შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ ჩვენი სოციოეტალური ინსტიტუციებისთვის ყურანის მსოფლმხედველობისა და მისი ცალკეული კონცეპტების ცხოვრების სხვადასხვა სფეროსთან მისადაგების შედეგები. ამგვარი კონცეპტები მოიცავს ორმხრივ კონსულტაციებს, სამართლიანობას, ქველმოქმედებას, სიკეთის კეთებასა და ცოდვებისაგან განწმენდას. მისი საპირისპირო კონცეპტები კი შემდეგია: უსამართლობა, ბოროტების ჩადენა, აგრესია და ყველაფერი ის, რაც ეწინააღმდეგება გონიერებასა და ადამიანთა ინტერესებს. ჩვენ ვცდილობთ ყურანის, როგორც ჩვენი ცხოვრებისა და საზოგადოების კონსტრუქციული სულიერი მსოფლმხედველობისა და ჩვენი ხელმძღვნელობის წყაროს, სწორად გაგებას. ყურანი ყველა შესაძლო მიზნისა და ამოცანის საზომს წარმოადგენს, ისე როგორც ნარატივების შინაარსისაა და სხვა ტექსტების შესაფასებლად საჭირო კრიტერიუმთა ნაკრებს.

გააფთრებული ინტელექტუალური და კულტურული ჭიდილი უმეტესად განპირობებულია რიგი ადამიანების ძალისხმევით, რომელიც მიმართულია ისლამური იდენტობისა და კულტურის განადგურებისა და მარგინალიზაციისკენ, მისი უნარის მოსპობისკენ შეიტანოს კრეატიული, რეფორმატირული წვლილი თანამედროვე მატერიალისტურ კულტურაში. აღნიშნულის მკაფიო მაგალითია ქალის უფლებები და როლი ოჯახსა და საზოგადოებაში. ოჯახის ინსტიტუციას ისტორიულად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მუსლიმი სწავლუ-

ლების მიერ, ისლამურ სამართალთან მისი არსებითად მნიშვნელოვანი კავშირის გათვალისწინებით. შედეგად, მუსლიმურმა ოჯახმა შეძლო საკუთარი მნიშვნელობისა და მორალური სიძლიერის შენარჩუნება, მიუხედავად ისლამური აზროვნების დამანგრეველი ატროფიისა და სტაგნაციისა. მანამ, სანამ არ მოვახდენთ ოჯახისა და სამუშაო სისტემების რეფორმირებას, რათა ავსახოთ ოჯახის სტრუქტურაში გენდერის ურთიერთშემავსებელი როლი, ჩვენ განვაგრძობთ მუსლიმური თემისა და მისი წევრების განადგურებას.

სქესთა ურთიერთშემავსებელი ერთობა ადამიანთა არსებობისა და მამაკაცისა და ქალის ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური შემადგენლობის ჰარმონიზაციას ახდენს. ორივე ერთად სრულყოფილ, სინქრონიზებულ ერთობას ქმნის. ნაცვლად იმისა, რომ ჩვენი აზროვნება და ქცევა იმ ვარაუდზე დავაფუძნოთ, რომ მამაკაცები და ქალები არსებითად მსგავსნი არიან, მუსლიმებმა იმ ვარაუდის საფუძველზე უნდა იმოქმედონ, რომლის თანახმადაც მიუხედავად ქალსა და მამაკაცს შორის რიგ საკითხებში არსებული მსგავსებისა, ისინი ერთმანეთისგან მნიშვნელოვად და ურთიერთშემავსებელი სახით განსხვავდებიან.

მატერიალისტური მსოფლმხედველობა უარყოფს ან აკნინებს მამაკაცებსა და ქალებს შორის ამ არსებით ორგანულ ფსიქოლოგიურ და სოციალურ განსხვავებებს. ჩვენ ვხედავთ ნიჰილისტური და არასამეცნიერო ხედვების დამღუპველ გავლენას დასავლურ საზოგადოებებზე, ქალებისა და ბავშვების მიმართ გამოვლენილი უსამართლობის სახით. ეს უსამართლობები ანგრევს ოჯახის

ინსტიტუტსა და მის საბაზისო ეთიკურ საფუძვლებს. ქალებს ეკისრებათ ტვირთი, რომელიც ხელს უშლის მათ დედობრივი ინსტინქტების შესრულებაში, ხოლო იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ამ ინსტინქტით მოქმედებენ, ისინი დამოუკიდებლად იხდიან მათივე არჩევანის თანმდევ მატერიალურ და ფსიქოლოგიურ საფასურს. იმავდროულად, მამაკაცები სრულად გათავისუფლებულნი არიან პასუხისმგებლობისგან.

ყურანის მსოფლმხედველობის, მისი სოციალური განზომილებებისა და მისი კულტურული სისტემის გაცნობიერების ნაკლებობამ იმ ადამიანების წისქვილზე დაასხა წყალი, რომლებიც მუსლიმური თემისთვის კულტურის წართმევის პროცესში იყვნენ ჩართულნი. კომპლემენტარობას შეუძლია მოაწესრიგოს მამაკაცებსა და ქალებს შორის სოციალური ურთიერთობები და ამ ურთიერთობებიდან გამომდინარე უფლებები და ვალდებულებები დაარეგულიროს, რომელიც ღმერთის მიერ ბოძებული ბუნებისა და სიყვარულის *(ალ-მავადდა)*, თანაგრძნობის (*არ-რაჰმა),* სიკეთის კეთებისა *(ალ-მა'რუფ)* და ქველმოქმედების *(ალ-იჰსან)* ყურანისეული კონცეპტებიდან გამომდინარეობს.

ეს მსოფლმხედველობა უფრო ღრმად გააზრებას საჭიროებს, ვინაიდან, ის საქორწინო ურთიერთობებსა და იმ პრაქტიკულ რეფორმულირებას ეხება, რომელიც ქალისა და მამაკაცისთვის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და საგანმანათლებლო სფეროში თანაბარ უფლებებს გარანტირებას ახდენს. ამ სახის რეფორმულირება ზემოხსენებული სფეროების ჰარმონიზებულ ურთიერთქმედების საშუალებას შექმნის ყურანის კონ-

ცეპტებისა და პრინციპების შესაბამისად, ხელს შეუწ-ყობს ინტეგრირებული ქვესისტემების ჩამოყალიბებას უფრო ფართო საზოგადოებაში.

ყურანის მსოფლმხედველობის მიხედვით თემი ან ერი აღქმულ უნდა იყოს ადამიანური არსებობის განუ-ყოფელი ნაწილად, რომელიც სრულყოფილი მხოლოდ მაშინაა, როდესაც ინდივიდები და საზოგადოებები სიმ-ბიოტურია. ყურანი, თავის მხრივ, მიმართავს ინდივიდს, საზოგადოებასა და სრულიად ადამიანთა რასას: ***„ალ-ლაჰმა აღუთქვა თქვენგან მათ, რომელთაც ირწმუნეს და ჰქმნეს სიკეთენი, მეკვიდრეობა ქვეყნისა“*** (ყურანი-24:55).

ადამიანის წარმატებული ქცევისთვის, ყურანი სამ ძირითად საფუძველს გამოყოფს: სულიერი რწმენის სიმ-ტკიცეს და უეჭველობას, ქმედების პროდუქტიულობასა და ქმედების ეფექტურობას მისი სათნო ხასიათიდან გა-მომდინარე. რა მართავს ურთიერთობას საკუთარ *მესა* და სხვა ადამიანს შორის მსოფლიოს ყურანისეულ ხედ-ვაში? ეს ადამიანური განზომილება მსოფლიოს ყურანი-სეულ ხედვასა და ადამიანის ცხოვრების შესახებ სასი-ცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია. ყურანის მონო-თეისტური ხედვა უნივერსალური და კომპლექსურია. შესაბამისად, *„სხვა“ „მე“*-ს განუყოფელი ნაწილია, ისე-ვე, როგორც *„მე“* უნდა იქნეს აღქმული „სხვის“ ინტეგ-რალურ ნაწილად.

ყურანის მსოფლმხედველობის თანახმად, *„მესა“* და *„სხვას“* შორის ურთიერთობა ურთიერთშემავსებელი წრეებია, რომელშიც თითოეული მათგანი მეორის ხელ-შესაწყობად რაღაც სასარგებლოს შეიცავს. *„მე“* და

„სხვა“ ადამიანთა სოციალურ სისტემების მრავალფეროვნებაში მიეკუთვნება *„ხალხებსა და ტომებს“*, რაც წარმოადგენს კიდეც მრავალფეროვნებას. ***„და მისი სასწაულებიდანაა ცათა და მიწის გაჩენა, თქვენი ენების და ფერის სხვადასხვაობაც, უეჭველად ამაში სასწაულებია მცოდნეთათვის.“*** (ყურანი- 30:22).

მრავალფეროვნება სწორედ იმისთვის არსებობს, რომ ადამიანებს ჰქონდეთ უნარი ესწრაფვოდნენ ურთიერთთანამშრომლობას და საერთო ძალისხმევის გაძლიერებას საკუთარ და სხვათა საჭიროებებისთვის პლანეტისა და მისი რესურსების გამოყენების მიზნით და შექმნან ცივილიზაციები და კულტურები. მხოლოდ სამართლიანობამ უნდა დაარეგულიროს ურთიერთობა *„მესა“*-სა და *„სხვას“* შორის მტრობის ან გაუცხოების შემთხვევაშიც კი. მსგავსად, მთლიანად კაცობრიობის ძმური კავშირი მოითხოვს, რომ *„მემ“* და *„სხვამ“* თავიდან აირიდონ ყოველგვარი უსამართლობა და აგრესია. ყურანი აგრესიის ჩახშობას თავისთავად აგრესიად მიიჩნევს: ***„...ვინც გემტერებათ, თქვენც უმტრეთ, ისე უმტრეთ როგორც ის გმტრობთ...“*** (ყურანი- 2:194). ძმათა შორის კონფლიქტი და ომი ადამიანთა მოდგმაში ყოველთვის მოიცავს გარკვეულწილად წითელი ხაზის გადაკვეთას, მაშინაც კი, როდესაც ძალის გამოყენება ლეგიტიმური და აუცილებელია. ამ გზით, ყურანი გვაფრთხილებს მსგავსი ქმედების სერიოზულობის შესახებ. ამასთანავე, სამართლიანობა ვერ იარსებებს ზომიერების გარეშე; სამართლიანობა, უბრალოდ, ყველა საკითხში ზომიერების ნაყოფია.

ისლამი საკაცობრიო ცივილიზაციის უნივერსალური სამეცნიერო ეტაპის დასაწყისად და სახელმძღვანე-

ლო წყაროდ წარმოდგა და ყურანი მიმართავს ზოგადად კაცობრიობას. ყურანი არ წარმოადგენს დისკურსს ზებუნებრივსა და სასწაულებრივზე, მსგავსად გამოცხადებებისა, რომლებიც კაცობრიობას მისი განვითარების ადრეულ ეტაპზე ებოძა. ის ცოდნის, კითხვის, განსჯის და აზროვნების, ასევე გონების, არგუმენტაციისა და დარწმუნების, ხელმძღვანელობის, ძმობის, სამართლიანობისა და მშვიდობის შესახებ დისკურსია. ისლამი ადამიანთათვის ზეგარდმოვლენილი უკანასკნელი ღვთიური გზავნილია, ისევე როგორც ადამიანთა არსებობასა და მმართველობისა და მთავარსარდლობის უფლის მიერ ბოძებულ პოტენციალზე ყურანისეული პერსპექტივა. თითოეული ჩვენგანი ისლამისაგან იღებს იმ ფასეულობებსა და მოძღვრებებს, რომლის გათავისებაც და გამოყენებაც შეგვიძლია. ისლამური მსოფლმხედველობა *„მესა“* და *„სხვებს“* შორის ყველა ურთიერთობას სამართლიანობისა და მშვიდობის პრინციპზე აფუძნებს. ჩვენ სიფრთხილე უნდა დავიცვათ, რათა ისლამური მოწოდება რწმენისკენ, ანუ *„და'ვასკენ“* არ ავურიოთ ისლამური სახელმწიფოში - „*დავლაში*“. სახელმწიფო პოლიტიკური ერთობაა, რომელიც ადამიანთა სოციალური ორგანიზების მიზნით არსებობს.

დასავლეთმა ენთუზიაზმით გაითავისა სამეცნიერო მეთოდი ისლამური მონოთეისტური მსოფლმხედველობის გაზიარების გარეშე. მას შემდეგ, რაც დასავლეთმა მიატოვა რელიგია, ის თითქმის ცრურწმენად იქნა მიჩნეული. მეორე მხრივ, ყურანი ისეთ მიზნებს, ფასეულობებსა და კონცეფციებს მოიცავს, რომელიც დროსა და სივრცეში უცვლელი რჩება. რამდენადაც ადამიანთა

ცხოვრების პირობები მუდმივად იცვლება და იხვეწება, ასევე უნდა შეიცვალოს და განვითარდეს ისლამური ფასეულობებისა და კონცეპტების გამოყენება.

კონკრეტულ დროსა და ადგილზე ისლამური ფასეულობებისა და კონცეპტების გონივრული გამოყენება სიბრძნეს, ცოდნასა და გამჭრიახობას მოითხოვს. ყურანი, რომელიც უფლის სიტყვა და მისი საბოლოო გზავნილია კაცობრიობისათვის, ასევე წარმოადგენს ბუნებისა და კოსმოსის კანონების სწორი გამოყენების რელევანტურ სახელმძღვანელოს ყველა დროსა და ადგილზე. შუამავლის სუნა, როგორც ისლამური გზავნილის მეორე წყარო, ბრძნულ მითითებას იძლევა ამ გზავნილის ფასეულობების, პრინციპებისა და კონცეპტების გამოყენებისთვის.

ყურანის მსოფლმხედველობა და შუამავლის ცხოვრება რეალისტურ გზავნილებს წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია უხელმძღვანელოს ადამიანებს და მათ სულში არსებულ დიდსულოვნებას საშუალება მისცეს დაძლიონ ჰედონიზმის, ბოროტების, უსამართლობისა და ანგარებისადმი მიდრეკილებები. დასაწყისისთვის აუცილებელია, ისლამური თემმა აღიაროს, რომ რეგრესი განიცადა და ამ სახის განვითარებას აღსაქმელი მიზეზები აქვს, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია. მუსლიმურმა თემმა უნდა ისწავლოს ისლამისათვის მიწერილი მიკერძოებული და არარეალური მოთხოვნების იგნორირება.

მუსლიმმა მოაზროვნეებმა, რეფორმატორებმა და პედაგოგებმა უნდა განსაზღვრონ და შეისწავლონ ისლამური კულტურის დღეს არსებული ყველა პრობლემა.

მსგავსად, მთლიანად მუსლიმურ თემში არსებულმა თითოეულმა ქვეჯგუფმა უნდა განსაზღვროს გაუმართაობის ან დისბალანსის გამომწვევი მიზეზები და მათი გამოსწორების მეთოდები. ასეთ შემთხვევაში თემი ნათელი ხედვითა და ოპტიმიზმით კვლავ შეძლებს დაიბრუნოს სიჯანსაღე და კულტურის პირველშემოქმედის როლი. ყურანის მსოფლმხედველობა კი კვლავ გახდება თემის ცხოვრების წესის საფუძველი.

ისლამი ის მაშველი ნავია, რომელიც უსაფრთხოდ გაგვიყვანს ნაპირზე; კომპასია, რომელიც ჩვენი მოგზაურობის დასასრულს ჩვენს უსაფრთხოდ მიყვანას უზრუნველყოფს. ისლამი არ არის: რასიზმის ფორმა, რომელიც ემსახურება სიამაყის გრძნობას გაჩენას ან საფუძველს უქმნის მის გაჩენას; არც აგრესიული ინსტინქტებია; ის ასევე არ წარმოადგენს მიამიტურ, დამმონებელ, დამამცირებელ, ბერ-მონაზვნურ იდეალიზმს ან ნიჰილისტურ მატერიალიზმს, როდესაც მხოლოდ ყველაზე ძლიერებს ძალუძთ გადარჩენა. პირიქით, ისლამი ერთდროულად მიწიერი და სულიერი იდეალიზმია, რომელიც დაბალანსებულობითა და სიჯანსაღით გამოირჩევა. ისლამის ამგვარი ხედვა უზრუნველყოფს ადამიანების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის საჭირო საფუძველს უსაფრთხო, სამართლიან და სულიერი სიმშვიდის გარემოში.

თავი მეორე

ყურანის მსოფლმხედველობაში ასახული პრინციპები

ეს ფასეულობები და პრინციპები პრაქტიკულ დონეზე ყურანის მსოფლმხედველობის ფუძემდებლური, არსებითი მნიშვნელობის მქონე სამშენებლო ბლოკებია. სწორედ ისინია საზოგადოების კულტურულ პროგრესისთვის სახელმძღვანელო. მონოთეიზმი ამ მსოფლმხედველობის ყველაზე ფუნდამენტური პრინციპია, ვინაიდან სწორედ ის იძლევა ინტუიციურად ყველაზე დამაჯერებელ და უნივერსალურ პასუხს ადამიანის სულიერი მოთხოვნილებების შესახებ. ის ასევე წარმოადგენს ადამიანური ლოგიკის ზღვარს ცხოვრებისა და არსებობის სხვადასხვა განზომილებების აღქმისათვის : **„...არაფერია მისი მსგავსი, ხოლო ის ერთადერთია - ყოვლისმსმენელი, ყოვლისმხედველი“** (ყურანი- 42:11). ყურანის მითითებები ასახავს ადამიანთა ცნობიერების ჭეშმარიტ არსს მისი მიზანმიმართული, ეთიკური და სულიერი ასპექტების მახასიათებლებით.

ხელმძღვანელობის ღვთაებრივად ბოძებული პრინციპი ასახულია უფლის მიერ ადამიანის შექმნისას მის მიმართვაში ანგელოზებისადმი. ინდივიდუალურ და სათემო დონეზე, ადამიანებს აქვთ აღქმისა და გაგების უნარი. ხელმძღვანელობის პრინციპი, რომელიც ამქვეყნად მოქმედების შესაძლებლობას მოიცავს, ადამიანს საპატიო პოზიციას ანიჭებს. ეს პოზიცია ადამიანისთვის თავისუფლების მინიჭებას გულისხმობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, ვალდებულებების და

პასუხისმგებლობის აღებისას დედამიწაზე მის მიერ განხორციელებული ქმედებებისთვის.

სამართლიანობა ადამიანის ნებისმიერი ქმედებისა და ადამიანთა შორის ურთიერთქმედების ცენტრალური მიზანია ყველა დონეზე: მატერიალურ, სულიერ, ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურზე. სამართლიანობისა და ზომიერების გარეშე, ადამიანის არსებობისა და მმართველობის ნებისმიერი გამოვლინება აზრს და დანიშნულებას მოკლებულია: სამართლიანობა ადამიანის სწორი ქმედების საზომს წარმოადგენს. ყურანი კი ინდივიდისა და საზოგადოების ცხოვრების ყველა ასპექტში სამართლიანობის ყოვლისმომცველი ხასიათის დანახვაში გვეხმარება.

ადამიანები სხვა ქმნილებებისგან სულით, ცნობიერებითა და ცოდნის მიღების წყურვილით განსხვავდებიან. ეს პატივი გულისხმობს პასუხისმგებლობასაც, რომელიც თავის მხრივ, მოითხოვს, რომ ადამიანები თავისუფლები იყვნენ გააზრებული გადაწყვეტილების მიღებისთვის. თუმცა, თავისუფლება არ ამართლებს ქაოსს ან სხვა ადამიანების, თემისა თუ მომავალი თაობების უფლებებისა და ინტერესების დარღვევას ან/და მათთვის ზიანის მიყენებას. ამგვარად, არავის აქვს უფლება დაარღვიოს ინდივიდუალურ და კოლექტიურ დონეზე ადამიანის ხელმძღვანელობის უფლება.

სუბიექტური პიროვნული თავისუფლება კი სინდისის თავისუფლებაა, რომელიც ინდივიდის რწმენასთან, დოქტრინალურ მრწამსთან და მსოფლმხედველობასთანაა კავშირში. მეორე კატეგორიაა მოქმედების თავისუფლება საზოგადოებრივ სფეროში. ეს თავისუფლება გავ-

ლენას ახდენს საზოგადოებაზე, აქედან გამომდინარე კი ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე აქვს შესაბამისი საზღვრები. თემი თავად ქმნის საზღვრებს და აწესებს კონტროლს. აქედან გამომდინარე, უნდა ეცადოს დაიცვას შესატყვისი ბალანსი, ერთი მხრივ, ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს, მეორე მხრივ კი, თემის უფლებას შორის, რათა უზრუნველყოს მისი კეთილდღეობა და გადარჩენა.

ყურანი გვარწმუნებს, რომ ღვთის მარადიული ჯილდო მიეცემა მათ ***„...რომელთაც შეისმინეს თავიანთი ღმერთის, ჭეშმარიტად აღავლინეს ლოცვა, და საქმე მათი ბჭობა აერთმანეთ შორის...“*** (ყურანი-42:38). კონსულტაციის მიზანი კი ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვის გარეშე საზოგადოების მართვისა და წესრიგის დამყარებისთვის საჭირო მითითებებით უზრუნველყოფაა.

ადამიანები, როგორც რაციონალურად, ასევე ინტუიციურად იმ რწმენით ხელმძღვანელობენ, რომ მათი შესაძლებლობებისა და გარემოებების ფარგლებში, მათ თავისუფლება ენიჭებათ საზრიანი არჩევანის გაკეთებისას, რომლებზედაც პასუხისმგებლობა მათვე ეკისრებათ. ყურანის მსოფლმხედველობა კი ადამიანის სიცოცხლეს არსებითი სიკეთის სერიოზულ და საზრისის მქონე წამოწყებად მიიჩნევს. ამ მსოფლმხედველობის აღქმით, ყოველივე იმის ნაყოფი, რასაც ჩვენ ვაღწევთ ამ ცხოვრებაში რეფორმების, კრეატიულობის და მსახურების გზით, ვრცელდება მარადისობის სულიერ სამფლობელოში. ჩვენი თანდაყოლილი სულიერი აღქმა რელიგიური და მორალური არსის საფუძველია. ამ სახის მისწრა-

ფებების ჩვენი ცნობიერების ცენტრში განთავსებით, ყურანის მსოფლმხედველობა ჩვენს მთავარ ფოკუსად და შთაგონების წყაროდ იქცევა.

ადამიანს უკეთ შესწევს უნარი საკუთარი ცხოვრებისეული გზის შესახებ თავად მიიღოს გონივრული, კარგად გააზრებული და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილებები. აღნიშნული მსოფლმხედველობა ზრდის ჩვენს მიერ ჩვენი ვალდებულებებისა და მორალური პასუხიმგებლობის გაცნობიერებას, რაც ჩვენთვის უფლის მიერ ბოძებული ადამიანური ბუნების განუყოფელი ნაწილებია და იმ მახასიათებლებს შორისაა, რომელიც ამქვეყნად უფლის მიერ ბოძებული ხელმძღვანელობის უფლებამოსილებას გვანიჭებს.

ადამიანებს გაზრდილი ცოდნის წყალობით, შესაძლებლობა მიეცათ, განკარგონ დედამიწის რესურსები და შექმნან კულტურები და ცივილიზაციები. მათ ასევე ებოძათ თავისუფლება, არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, სულიერი და მორალური აღქმის უნარი, რომელიც ადამიანებს საზრისის მქონე ცხოვრების, პატიოსნების, სიკეთის დანახვის საშუალებას აძლევს და შემოქმედის წინაშე არსებული ანგარიშვალდებულების შესახებ ცნობიერებას უმაღლებს.

ერთმანეთთან კონსულტაცია *(აშ-შურა)* არ განიცდის ძალაუფლებისა და გავლენის მქონე ინდივიდთა ახირებებისა და პირად ინტერესების ზეგავლენას, არამედ გახსნილია უფრო ფართო საზოგადოების მიერ მასში მონაწილეობისთვის. ეს პრაქტიკა იცავს ყველა ადამიანის ლეგიტიმურ უფლებებს, იმოქმედონ მათი რწმენის შესაბამისად ყოველგვარი ხელისშეშლისა და შეზღუდვე-

ბის გარეშე, ამგვარად, ის ხელს უწყობს ადამიანებს მათი არსებობის მიზნისა და განვითარების, რეფორმებისა და უსაფრთხოების, საერთო მიზნების მიღწევაში. მაშასადამე, ერთმანეთთან კონსულტაცია არსებითად მნიშვნელოვანია ინდივიდის, თემისა და ზოგადად ადამიანთა რასის კეთილდღეობისთვის.

ყურანის სიღრმისეული შესწავლა, რომელიც უკავშირდება ერთმანეთთან კონსულტაციების კონცეპტს და მის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ბმას ხელმძღვანელობასთან, ეთიკურ და განვითარებასთან დაკავშირებულ მიზნებთან, გამოკვეთს სამართლიანობის, ღირსებისა და ტოლერანტობის სულისკვეთებით გამსჭვალული სწორად გამოყენებული თავისუფლების რეალურ მნიშვნელობას. ერთმანეთთან კონსულტაცია იცავს თემს ტირანიის, ავტორიტარიზმის, უსამართლობისა და კორუფციის სიავეთაგან. თავისუფლება და ერთმანეთთან კონსულტაცია (ან შესაბამისად მათი ნაკლებობა) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცივილიზაციების აღმასვლასა და დაცემაში. თავისუფლება და კონსულტაცია საკაცობრიო ცივილიზაციის გადარჩენის აუცილებელი პირობებია.

ვინაიდან ისლამური თემები მათი კულტურული სიცოცხლისუნარიანობის აღდგენისა და აღორძინების ფაზას გადიან, მათ უნდა შეაფასონ ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, თავისუფლებასა და ურთიერთკონსულტაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ცივილიზაციების აღმასვლასა და დაკნინებას შორის. დღეს ადამიანთა ცივილიზაცია მატერიალიზმის, რასიზმის (ეგოიზმი, რომელიც უბიძგებს ბოროტების-

კენ), მოჩვენებითი დემოკრატიისა და მისი მოთხოვნების, ეგრეთ წოდებული თავისუფლებების ზემოქმედებას განიცდის, რაც სხვა არაფერია, გარდა ნიჰილისტური ანარქიის ფასადი, მედიის შეცდომაში შემყვანი საუბრები, სატელეფონო გამოკითხვას დაფუძნებული კვლევითი ცენტრები, რომელთაც გავლენიანი, ფულის მქონე კლასი აკონტროლებს.

წინწასულმა მატერიალისტურმა საზოგადოებებმა გააჩანაგეს სხვა ერების მატერიალური და ადამიანური რესურსები მათი მცდელობისას თავი დაეღწიათ მათივე თავნებობის, პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სისტემების სიხისტის, მათი კორუმპირებული, კლასობრივი, რასისტული პრაქტიკისა და მათივე ხალხისა და სოციალური სისტემების გაუარესებული მორალის შედეგებისგან. ამ დახვეწილი ძარცვის საფასური კი, ბუნებრივია, უფრო სუსტმა, ნაკლებად განვითარებულმა ერებმა გადაიხადეს მათი ყველაზე ნათელი გონებებით, მატერიალური და ადამიანური რესურსებითა და ღირსების დაკარგვით.

უფსრული ჩვეულებრივი ხალხის მასებსა და ფეოდალურ (მონოპოლისტურ) უმცირესობას შორის, რომელიც ტექნო-კაპიტალისტური ინტელიგენციის სახითაა წარმოდგენილი, უფრო და უფრო იზრდება. სოციალური ძალმომრეობა და ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ბრძოლები გაგრძელდება და გაუარესდება მთელ მსოფლიოში. გარემოსთან და კულტურული დახვეწილობის ნაკლებობასთან დაკავშირებული ისტორიული მიზეზების გამოისობით, მუსლიმურმა თემმა ინსტიტუტების მნიშვნელობის გაცნობიერება ვერ შეძლო.

თუმცა დღეს, თუკი ჩვენ ნამდვილად გვინდა საკუთარი თავის და კაცობრიობის სამსახურში ჩავდგეთ, ჩვენის შესაძლებლობების გამოუყენებლობას საუკეთესო ინსტიტუტების აშენებისთვის, გამართლება არ აქვს. როგორც ყურანი გვამცნობს: ***„... ალლაჰს რომ არ აღეკვეთა ზოგიერთი ადამიანების ბოროტება ზოგიერთით, უეჭველად, მოიშლებოდა სისტემა დედამიწისა, მაგრამ ალლაჰი მფარველია, მწყალობელია სამყაროთა მიმართ“.*** (ყურანი-2:251). დოვლათი კი, რომელსაც ამჟამად რამდენიმე ტირანული თუ კორუმპირებული ისლამური სახელმწიფო ფლობს, რეალურ საფრთხეს წარმოადგენს იმ ინიციატივების განხორციელებისთვის, რომელიც მუსლიმურ თემს განახლების გზაზე აყენებს.

არსებობს რეალური საფრთხე იმისა, რომ მუსლიმური თემის მხრიდან გამოღვიძების პირველივე ნიშნები ჩანასახშივე დაკონსერვდება - მანამ, სანამ მას კეთილდღეობის მიღწევისა და ნაყოფის გამოღების შესაძლებლობა მიეცემა. თუმცა, მოაზროვნეების, რეფორმატორებისა და პედაგოგების სერიოზული ძალისხმევის წყალობით, დედებისა და მამების ზრუნვასთან და მათ მიერ შვილებისთვის გაღებულ მსხვერპლთან ერთად, მუსლიმ თემს ყველაფერი აქვს, რაც დასახული მიზნების მიღწევისთვისაა საჭირო, მიუხედავად არსებული დაბრკოლებებისა.

სისტემურ, მიზეზ-შედეგობრივ, სამეცნიერო კვლევასა და სოციალური მეცნიერებების მიმართ სისტემური და მიზეზ-შედეგობრივი მიდგომის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი შეიტანა ცნობილმა მსაჯულმა და სამართლისმცოდნემ, იბნ ხალდუნმა (გარდ. 808/1406). მან

აღნიშნა - იმისთვის, რომ გამოცხადება და მისი სხვადასხვა გზავნილები ჭეშმარიტებად ჩაითვალოს, როგორც გამოცხადება და შევიდეს ადამიანის ცოდნაში, ყოველი შუამავლის მოთხოვნა და გზავნილი პირველ რიგში უნდა აიწონოს ადამიანის გონებასთან ბალანსში და უნდა გაიზომოს ლოგიკის კრიტერიუმებით. მიზეზშედეგობრიობა და პასუხისმგებელი ხელმძღვანელობა ერთმანეთის განუყოფელი ნაწილებია. მიზეზშედეგობრიობის გარეშე, ცხოვრება ქაოსამდე დაკნინდებოდა, საპასუხისმგებლო ქცევისთვის ან ანგარიშვალდებულებისთვის კი საფუძველი არ იარსებებდა. უფლისგან ბოძებული ხელმძღვანელობის ამოცანა მოიცავს ნებელობას; ის ასევე მოიცავს პასუხისმგებლობასა და მონოთეიზმზე დაფუძნებულ, მიზანდასახულ და ზნეობრივად სწორი ქცევის განხორციელების უნარს.

მაშასადამე დედამიწაზე უფლის მიერ ბოძებული ხელმძღვანელობის განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა ადამიანის ცხოვრებაში მიზეზშედეგობრიობის როლის აღიარების გარეშე. გამოცხადებას (კერძოდ, წერილობითი ფორმით არსებული ან *ალ-მასტურ*), ბუნებისა და კოსმოსის კანონებსა (რომლებიც დაკვირვების ქვეშაა, ან *ალ-მანზ̣ურ*) და გონებას შორის (ბალანსი ან მასშტაბი, *ალ-მიზან)* სწორი და შესაბამისი ურთიერთკავშირის შემთხვევაში, ბუნებისა და კოსმოსის კანონები გამოცხადების შემადგენლებია, მაშინ როცა გონებისა და ლოგიკის ფუძემდებლური საწყისები არის ის, თუ როგორ გვესმის ჩვენ გამოცხადების წინამძღოლობა. მუსლიმური აზროვნების წესს ბერძნული აზროვნების გავლენით მიმართულება რომ არ შეეცვალა, მუსლიმები

სოციალური მეცნიერებების პირველი აღმომჩენები გახდებოდნენ. კანონის უზენაესობით მმართველობის პრინციპის ადრეულ ეტაპზე მიღებითა და ყოვლისმომცველი, სამეცნიერო მიდგომის წყალობით, ისინი გაცილებით მეტის მიღწევას შეძლებდნენ, ვიდრე სხვა ერები.

დღეს ისლამური აზროვნებისა და კულტურის სწორ გზაზე დაყენებისთვის, მუსლიმმა მოაზროვნეებმა და რეფორმატორებმა უნდა შეინარჩუნონ ყოვლისმომცველი, სამეცნიერო ხედვა. შემდეგ კი, ყურანის მსოფლმხედველობის მყარ საფუძველზე დაყრდნობით, მათ შეუძლიათ კულტურის, განათლებისა და ბავშვების აღზრდის მიმართ მუსლიმური თემის მიდგომების რეფორმირება მოახდინონ, კერძოდ იმ საკითხებისა, რომლებიც საზოგადოების აზროვნების, აკადემიური ინსტიტუციებისა და სწავლების საფუძველს წარმოადგენს. ასეთი რეფორმა ცოდნის სხვადასხვა სფეროში ისლამურ პერსპექტივას გააერთიანებდა და ხელს შეუწყობდა სხვადასხვა აკადემიური სპეციალიზაციისთვის საგანმანათლებლო პროგრამის შექმნას, რომელიც შეთავაზებულ იქნებოდა ისლამური მსოფლმხედველობის ამსახველ, ყურანზე დამყარებულ დოქტრინალურ სწავლებასთან ერთად.

ნამდვილი ისლამური მსოფლმხედველობა ყოვლისმომცველი, კანონის უზენაესობაზე დამყარებული და წესრიგზე დაფუძნებულია. სამწუხაროდ, მუსლიმთა შორის დომინირებადი მსოფლმხედველობა, რომელიც შეცდომით მიიჩნევა „ისლამურად“, თეორიული, ატომისტური, პასიური და სელექციურია. იმისთვის, რომ მუსლიმმა საზოგადოებამ შეძლოს ყურანის მსოფლმხედველო-

ბის აღდგენა და სწორად მართული ისლამური აზროვნების სისტემის ხელახლა ჩამოყალიბება, უნდა გავიაზროთ, რომ ჯანსაღი ინსტინქტები, უნივერსალური კანონები, დროისა და ადგილის რეალიები და გამოცხადება წარმოადგენენ ისლამური ცოდნის წყაროებს.

გრძნობები გონების ინსტრუმენტების როლს ასრულებს, რომელიც თავის მხრივ ადამიანური აზროვნების საზომია. ლოგიკაზე, აზროვნების საფუძვლებსა და საღ აზრზე დაყრდნობით, ჩვენ ვანხორციელებთ დაკვირვებებსა და შედარებებს, რაც სამყაროს შესახებ შეხედულებების ფორმირების საშუალებას გვაძლევს. ადამიანის ნება წარმოადგენს მისი არჩევანისა და გადაწყვეტილებების საფუძველს, იქნება ეს გადაწყვეტილება მიღებული სიმართლის, სამართლიანობისა და ამქვეყნად რეფორმების განხორციელების მიზნით, თუ ეგოისტური მიზნების დასაკმაყოფილებლად. როგორც ინდივიდებსა და როგორც საზოგადოებას, მუსლიმებს შეუძლიათ აღადგინონ ის, რაც დაინგრა მათი აზროვნების და მომავალი თაობების აზროვნების წესის შეცვლის გზით.

გლობალიზმი იმ ფაზის მახასიათებელია, რომელშიც ადამიანის განვითარების ყველა ეტაპი ერთმანეთს ერწყმის. ისლამის წინამორბედი ყველა რელიგია კონკრეტული ხალხებისათვის გამიზნულ გზავნილებს წარმოადგენდა, რომლებიც ერთმანეთისგან შედარებით იზოლირებულად, პრიმიტიულად არსებობდნენ. უფრო მეტიც, საშუალებები, რომლის მეშვეობითაც ეს რელიგიები არჩეულ ხალხებამდე აღწევდნენ, დიდწილად სასწაულები იყო. ისლამი კი იყო გზავნილი მსოფლიოს ყველა ხალხისთვის, ადამის ყველა შთამომავლისთვის. შე-

დეგად, მისი დისკურსი მიმართულია მთელი კაცობრიობასადმი, ხოლო საშუალება, რომლითაც ის მიმღებებამდე აღწევს, სამყაროსა და სამყაროში ადამიანთა ადგილის კანონზე დაფუძნებული მეცნიერული აღქმაა. მისი მიზნები სამართლიანობა და მშვიდობაა. სამართლიანობის გარეშე არ არსებობს არც მშვიდობა და არც გლობალიზმი. გლობალიზმი და გლობალიზაცია რადიკალურად ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებებია. გლობალიზმი აყალიბებს კომუნიკაციებს, მშვიდობას ინდივიდებსა და საზოგადოებებს შორის, ძმობას, თანაგრძნობასა და სარგებლისა და რესურსების სამართლიან განაწილებას. გლობალიზაცია კი, საპირისპიროდ, გამომდინარეობს და ხელს უწყობს კონტროლს, ექსპლუატაციასა და კორუფციას. საკომუნიკაციო ქსელების ზრდასთან ერთად, ადამიანის განვითარების გლობალისტურმა, სამეცნიერო ფაზამ, რომელიც დასაბამს წინასწარმეტყველის გზავნილებიდან იღებს, დაახლოვა ადამიანები ერთიანი გლობალურ საზოგადოებად ჩამოყალიბებისთვის. მსოფლიოს ერებსა და ხალხებს შორის კომუნიკაცია, ურთიერთაღიარება და საერთო ინტერესები უბიძგებს მათ ერთიანი საკაცობრიო საზოგადოების ფორმირებისკენ.

გლობალიზაციის ალტერნატივა სწორედ გლობალიზმია — ეს არის ძმობის, სამართლიანობის, თანამშრომლობის, სოლიდარობის, უსაფრთხოების, მშვიდობისა და თავისუფლების გონივრულად და პასუხისმგებლობით გამოყენების პრინციპების შესაბამისად გლობალური საზოგადოების, წესრიგისა და მმართველობის ჩამოყალიბება. მუსლიმური თემი პასუხისმგებელია, დაიბრუნოს საკუთარი ხედვა, ხოლო საკუთარი საკონსულტა-

ციო სისტემა დააფუძნოს ისეთ ხედვაზე, რომლის ამოსავალი წერტილი კაცობრიობის ფუნდამენტური ერთობაა. ***„...და ალლაჰი მოუხმობს კეთილდღეობის სავანისკენ და ჭეშმარიტ გზაზე დაადგენს, ვისაც ინებებს...“*** (ყურანი-10:25).

თავი მესამე

ყურანის მსოფლმხედველობა: საფუძველი, საწყისი წერტილი და რეფორმისა და აღმშენებლობის ინსპირაცია

ყურანის მსოფლმხედველობის აღსადგენად, ჩვენ, როგორც მუსლიმებს, ჩვენი ერის ისტორიის უფრო ღრმად ცოდნა გვევალება, კერძოდ კი იმ ეპოქისა, რომელიც სრულად მოიცავს და აერთიანებს შუამავლისა და მართლმორწმუნე ხალიფების ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ჩვენ უნდა დავაფასოთ აღნიშნული მსოფლმხედველობის გავლენა ამ განმანათლებლურ ეპოქაზე, ისლამურ მემკვიდრეობასა და შემდგომი ეპოქების მდინარეებაზე, რომელიც თავის მხრივ, ღრმად აღიბეჭდა ადამიანთა ცივილიზაციაზე, რომლის კულმინაციაცაა სამეცნიერო, კოსმიური ცოდნის ამჟამინდელი ფაზის გაცნობიერება. ერთი მხრივ, იმის მიხედვით თუ რა ვიცით სამართლიანობასა და ძმობაზე დაფუძნებულ მსოფლმხედველობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, რასიზმსა და აგრესიაზე დამყარებულ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე, შეგვიძლია დავიწყოთ თანამედროვე ცივილიზაციის ჭეშმარიტი მახასიათებლები ამოცნობა.

მახასიათებლები, რომლებსაც თანამედროვე ცივილიზაციაში ვამჩნევთ, სინამდვილეში ჯუნგლების კანო-

ნებისა და ადამიანის ბოროტი მიდრეკილებების კონკრეტული გამოხატულებაა. რადგანაც ამგვარი საზოგადოებების ფუნდამენტური სტრუქტურები სულ უფრო მეტად სასტიკი და სუსტი ხდება, თავად საზოგადოებები დასუსტებასა და დეზინტეგრაციას იწყებენ. ჯუნგლების სამყაროში კი ეთიკასა და უფლებებს არც არანაირი მნიშვნელობა აქვთ და არც ადგილი. შესაბამისად, ამგვარ ცივილიზაციას არ ექნება გადარჩენის უნარი, რადგან მიმდინარე კონფლიქტები, რომლებიც გარდაუვლად წარმოიშობა იმ საფუძვლებიდან, რომელზეც ეს ცივილიზაცია დგას, მოგიზგიზე ცეცხლს ჰგავს, რომელიც თუკი ვერაფერს აღმოაჩენს, რომ დაწვას, საკუთარ თავს შთანთქვას: ***„და ვფიცავ, ჩვენ ჩავწერეთ გახსენების (ლავჰი მაჰფუზის) შემდეგ ზებურში, რომ ქვეყანას იმემკვიდრებენ ჩემი ერთგული მსახურნი! უეჭველად ამაში (ყურანში) ცნობარია თქყვანისმცემელ ხალხთათვის.“*** (ყურანი-21:105-106).

გაცნობიერებული სულიერება, გამყარებული ყურანით, რომელიც სამართლიანობისადმი სწრაფვას, ტოლერანტობასა და ეთიკურ მიზანმიმართულობას აერთიანებს, გადაგვარებული მატერიალიზმის სრულ ანტიპოდად გვევლინება. მიუხედავად გამოცხადებით ხელმძღვანელობის სრული უარყოფისა, თანამედროვე მატერიალისტურმა ცივილიზაციამ არაერთ წარმატებას სწორედ სამეცნიერო კვლევის სისტემური, კანონით რეგულირებული მეთოდის გამოყენებით მიაღწია, რაც ღვთისგან ბოძებული ხელმძღვანელობის დასამყარებლად და უფლის წარმომადგენლის როლის შესასრულებელი ამოცანისთვის საჭირო ერთ-ერთი მოთხოვნაა.

თანამედროვე ცივილიზაციის მიწიერი მიდრეკილებები, ჭეშმარიტი ხელმძღვანელობის კიდევ ერთი მოთხოვნის დაკმაყოფილებას საჭიროებს: გაცნობიერებული სულიერება, რომელიც ჯანსაღი და სწორი ხელმძღვანელობით წარმართული ადამიანური ბუნების, *ან-ნაფს ალ-ლავვამა“* (ადამიანის საკუთარი ბრალმდებელი სინდისის ხმა) თანმხლებია. ვინაიდან, ამის გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხდება თანამედროვე საზოგადოების წევრების მტანჯველი სახიფათო სულიერი და სოციალური მანკიერებებისთვის წინააღმდეგობის გაწევა.

როდესაც ისლამი სწორად იქნება გაგებული და სწორი ფორმით იქნება მიწოდებული სხვებისთვისაც, როდესაც ყურანის მსოფლმხედველობის ჩვენეული დამახინჯებული ხედვა გამოსწორდება და შეიცვლება და როდესაც გონივრული საგანმანათლებლო პრაქტიკის გამოყენება მოხდება, ჩვენ აღჭურვილი ვიქნებით სათანადო ძალებით, რათა დღევანდელ მატერიალისტებს კონფლიქტების, უკანონობისა და იმ საფრთხეებისგან თავის დაღწევის გზები შევთავაზოთ, რომელიც საფრთხეს უქმნის მათ არსებობას. რეფორმის ამოცანის შესრულება მუსლიმ მოაზროვნეებსა და გზის გამკვალავთ აკისრიათ, რომელთაც კულტურული შეზღუდვებისა და ხისტი, ჩამორჩენილი აზროვნების დასაძლევად, დიდი დოზით ობიექტურობა, მოთმინება და სიმამაცე დასჭირდებათ.

თავი მეოთხე

ისლამური მსოფლმხედველობა და ჰუმანიტარული ეთიკური კონცეფციები

მუსლიმურ აზროვნებაში ტრადიციებისადმი, პრაქტიკისა და წარსულის განაცხადებისადმი ატავისტური მიჯაჭვულობა დომინირებს, მაშინ, როცა ცალკეული მუსლიმების მენტალიტეტი პასიურობით და აპათიითაა ნიშანდებული, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა ნაპრალი ისლამურ ტრადიციებში ჩანერგილ ღირებულებებსა და იდეალებს და მუსლიმთა ცხოვრებასა და ურთიერთობებს შორის. ღირებულებები და ხედვები უდავოდ წარმოადგენს კონკრეტული ქმედებებისთვის საჭირო ინსტრუმენტებს.

ისლამური ფასეულობების, პრინციპების და კონცეპტები კვალი იკვეთება მუსლიმური თემის ფუძემდებლურ ხედვაში. დღეს ჩვენ დაგვჭირდება ამ კონცეპტების სწავლების გზით დანერგვა მუსლიმთა გონებასა და გულში და მათი ინტეგრირებულ, ინტერაქტიურ სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინსტიტუციების დონეზე გამოყენება. ამ გზით ჩვენ შევძლებთ შევქმნათ სიცოცხლისუნარიანი, პოზიტიური, ეფექტური მუსლიმური თემი, რომელიც, თავის მხრივ, მზად იქნება, შექმნას ცივილიზაციები და ისტორია. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მუსლიმური თემის მეცნიერებს, რეფორმატორებს, პედაგოგებსა და მშობლებს, რათა გააცნობიერონ საკუთარი პასუხისმგებლობები და შეასრულონ მათზე დაკისრებული ფუნქცია, რაც საშუალებას მისცემს როგორც მათ,

ასევე მათ შთამომავლობას, ისწრაფოდნენ უფლისგან ბოძებული სულიერიებისკენ.

ყურანის მსოფლმხედველობა არსებობის ყველა სფეროში რეალისტურ ხედვას წარმოადგენს და იმავდროულად მიგვითითებს თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, ერთი მხრივ, კოსმიური კანონების, ხოლო, მეორე მხრივ, ადამიანური ბუნების გათვალისწინებით და მათ შესაბამისად. ეს ხედვა სათავეს იღებს ღვთაებრივი *„მეს“* აბსოლუტური ერთიანობისა და ამ პრინციპის შესაბამისი კოსმოსისა და მისი მრავალრიცხოვანი კომპონენტების ერთიანობისა და კომპლემენტარულობის პრინციპიდან. სწორედ ამ პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ მთლიანად კაცობრიობის ძმობის აღქმა თითოეულ ჩვენგანშია გამჯდარი; ჩვენ მიზანმიმართული, მორალური და კონსტრუქციული ცხოვრების ადამიანური და სოციალური პასუხისმგებლობა გვაკისრია; ადამიანთა ცხოვრება, როგორც სამყაროს სტრუქტურა, როგორც ერთი მთლიანი, ეფუძნება ერთიანობას მრავაფეროვნებაში და მრავალფეროვნებას ერთიანობაში.

ჩვენ ამ თემის მემკვიდრეობისა და ისტორიის სერიოზული, ობიექტური და კრიტიკული ხელახალი გადახედვა გვესაჭიროება, რომ შევძლოთ კარგისა და ცუდის, სასარგებლოსა და უსარგებლოს გარჩევა. თუკი ჩვენ ჩვენი სისუსტეების, ცრურწმენებისა და ნაკლოვანებების ინტელექტუალური, საგანმანათლებლო და სოციალური სფეროების მოწესრიგებასა და გამოსწორებას მოვახერხებთ, ობიექტური, ყურანზე დაფუძნებული, გლობალური პერსპექტივის ჩამოყალიბებას შევძლებთ, რომლისთვისაც შთაგონების წყარო შუამავლის ცხოვრებაში გან-

მტკიცებული სიბრძნე და რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში მის მიერ ყურანის მოძღვრებათა გამოყენების გზებია.

ცოდნა და გაგება, უპირველეს ყოვლისა, მოაზროვნეების, სწავლულების, აკადემიკოსებისა და ინტელექტუალების ხელობაა, როგორც სკოლებისა და მასწავლებლების. მშობლების დანიშნულება, პირველ რიგში, ბავშვების აღზრდა, მათთვის განათლების მიცემა და მათი შვილების სულისა და გონების სრულყოფაზე ზრუნვაა, ასევე მათი ხელმძღვანელობაა, რათა შვილებს სწორი ქცევები განუვითარონ. მოაზროვნეებმა, პედაგოგებმა და რეფორმატორებმა განსაკუთრებული ყურადღება იმ ნაშრომებსა და ინსტიტუციებს უნდა დაუთმონ, რომლებიც კულტურული და სამეცნიერო პერსპექტივიდან განათლების სფეროს კვლევით არიან დაკავებული, ხოლო შემდეგ ეს კვლევები ყველა შესაძლო მეთოდით მშობლებს უნდა წარუდგინონ, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ელექტრონული კომუნიკაციებისა და ინტერნეტის ეპოქაში ვცხოვრობთ.

ჩვენს რელიგიურ, სოციალურ და საგანმანათლებლო ინსტიტუციებს უმეტესად ის ადამიანები უდგანან სათავეში, რომლებმაც მათ შესაბამის სფეროში ბევრს ვერაფერს მიაღწიეს; იმავდროულად კი, ჩვენს რესურსებსა და აღიარებას იმ სფეროებისთვის ვიტოვებთ, რომლებსაც მომგებიანად და პრესტიჟულად მივიჩნევთ, როგორიცაა მედიცინა და ინჟინერია. თუმცა, ჩვენი სოციალური სისტემის გაუმართავად მუშაობის გათვალისწინებით, საბოლოოდ, ამ სპეციალისტებს სხვა სახელმწიფოებს ვუთმობთ. დროა, ხელახლა ავაშენოთ და გან-

ვწმინდოთ კულტურა და ჩვენი შვილები შესაფერისი სულიერი, ინტელექტუალური და კულტურული ბაზისით უზრუნველვყოთ.

„ცოდნის ისლამიზაციის“ ნამდვილმა ბუნებამ და იმ გზებმა, რომლებითაც უნდა მოხდეს მისი მიღწევა, არაერთი დავა და დაბნეულობა გამოიწვია. ამის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი სიცხადის არარსებობაა იმის თაობაზე, თუ როგორ ხდება განვითარებადი ისლამური სოციალური მეცნიერებების შესახებ საკითხების წარმოჩენა, ისევე, როგორც მათი შინაარსისა და მიზნის ნათლად დადგენის მცდელობის წარუმატებლობა და თუ როგორ არიან ისინი დაკავშირებული შესაბამისად ისლამურ მემკვიდრეობასთან, ისლამურ აზროვნებასა და დასავლურ სოციალურ მეცნიერებებთან. ცოდნის ისლამიზაცია და სოციალური მეცნიერებების ისლამიზაცია ერთი მედლის ორი მხარეა და მანამ, სანამ მათ შორის, ისევე, როგორც ტრადიციულ ისლამურ მეცნიერებებს ან დისციპლინებს და სოციალურ მეცნიერებს შორის რეალურ კავშირს არ ვიპოვით, ბუნდოვანება კვლავაც გაბატონებული იქნება.

ამჟამად ისლამური ტრადიციის იურიდიული *(ლეგალური)* ასპექტი ისლამურ აზროვნებაში ყველაზე მეტ ყურადღებას იმსახურებს, ვინაიდან, ის მუსლიმური თემის ცხოვრებას ეხება. ისლამურმა იურისპრუდენციამ, დასაბამიდანვე, საკუთარი აზროვნება და შინაარსი შუამავლისა და მართლმორწმუნე ხალიფების გამოცდილებისგან და მაგალითებისგან განავითარა. შუამავლის, მისი კომპანიონების და მართლმორწმუნე ხალიფების მიერ შექმნილი პრეცედენტები სქოლასტიკური ისლამური აზ-

როვნების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. მიმდინარე იდეურმა და პოლიტიკურმა იზოლაციამ და უძლურებამ, რომელიც ისლამური იურიდიული მეცნიერებების სტუდენტებს შეეხო, დროთა განმავლობაში ინტელექტუალური სამყაროს მდგომარეობის გაუარესებამდე და ინერტულობამდე მიგვიყვანა, რაც ისეთი პრაქტიკიდან, შეთანხმებებიდან და პირობებიდან გამომდინარე ბუკვალურ წესებზე, რეგულაციებსა და ქცევის მანერებზე დაფუძნების პრაქტიკაში გამოვლინდა, რომელიც შემდგომი ისლამური საზოგადოებებისთვის აღარ იყო შესატყვისი.

ბევრი ისლამური კანონი, რეგულაცია, დადგენილება და სამართლებრივი გადაწყვეტილება იმ გარემოებებსა და პრობლემებზეა მორგებული, რომლებიც იმ ეპოქისთვის, რომელშიც ვცხოვრობთ, არარელევანტურია. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ ისლამური მსოფლმხედველობის უცვლელი პრინციპები და ღირებულებები აღიარებული და შენარჩუნებული იყოს. ისლამური ღირებულებების უკვდავი სიბრძნისგან სარგებლის მიღებით, ისლამური აზროვნების სფეროში ახალი დინამიზმის გენერირებას ვახდენთ და უფრო მეტი უნარი გვაქვს, რომ აღვიქვათ, თუ რა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. თანამედროვე დასავლურ მეცნიერებებსა და ცოდნის ისლამიზაციას შორის კავშირს ისლამურ სოციალურ მეცნიერებებში ცენტრალური ადგილი უჭირავს და ეხება როგორც შინაარსს, ისე მეთოდს.

სოციალური მეცნიერებების სოციალური როლი და ფუნქცია განსხვავდება სამართლის, იურისპრუდენციის, სამართლებრივი და სასამართლო გადაწყვეტილებების

სოციალური როლისა და ფუნქციისგან. კერძოდ, ისლამურ საზოგადოებაში სოციალური მეცნიერებები უზრუნველყოფენ იდეურ შინაარსს, საიდანაც სამართალი და იურიდიული კვლევა ურთიერთობების მარეგულირებელ წესებსა და რეგულაციებს აყალიბებს. იურისპრუდენციისა და სამართლის ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ბუნებით ფორმალურია, ხოლო სოციალური მეცნიერებების ფუნქცია უმთავრესად ინტელექტუალური და იდეოლოგიურია. ისინი ავსებენ ერთმანეთს, მუსლიმური თემის და მისი ცივილიზაციის პროგრესის ხელშეწყობის მიზნით ერთობლივი მუშაობით.

მნიშვნელოვანია, ნათლად გაიმიჯნოს ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, დასავლური აზროვნება, რომელიც სოციოლოგიური კვლევისგან და შესწავლისგან წარმოიშვა, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლურ სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული მეთოდოლოგია. ამგვარ განსხვავებაზე დაყრდნობით, ჩვენ ვხედავთ, რომ ისლამური სოციალური მეცნიერებების განვითარება არ ეწინააღმდეგება წარსულის ტრადიციებს. პირიქით, ამგვარი განვითარება შესაძლოა ეფუძნებოდეს გამოცდილებას, ცოდნასა და წარსულის მიღწევებს, იმავდროულად კი ითავისებდეს დასავლური სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგიასა და მიღწევებს.

დასავლური სოციალური მეცნიერებების იდეოლოგიური შინაარსი ორი ფაქტორის ზეგავლენას განიცდის. პირველი ფაქტორი სუბიექტური, იდეოლოგიური ელემენტია, რომელიც საკუთარ გამოხატულებას დასავლურ მსოფლმხედველობაში ჰპოვებს. რელიგია უკვე აღარ თამაშობს მნიშვნელოვან როლს დასავლელი ხალხების

მსოფლმხედველობაში, საქმიანობასა და სოციალურ ურთიერთობებში, რომელთაგან ბევრი საკუთარ თავს აგნოსტიკოსად მიიჩნევს. მეორე ფაქტორი დასავლურ სოციალურ მეცნიერებებში გამოყენებული კვლევის მეთოდებით გამოხატული ობიექტური ელემენტია. დასავლური სოციალური მეცნიერებების იდეოლოგიური შინაარსის ობიექტური ასპექტი, რომელმაც შემოქმედების არაერთი საშუალება, სისტემა და ინსტიტუცია შექმნა, შეიძლება გამოყენებული იყოს ისლამური სოციალური მეცნიერებების განვითარებისთვისაც.

მუსლიმ სტუდენტებსა და მკვლევრებს შემდეგი ქმედებების განხორციელება მართებთ: გაითავისუფლონ თავი მიმბაძველობისა და მენტალური სუბორდინაციისგან; გაითავისონ შემოქმედებითი, ყოვლისმომცველი, კრიტიკული, სამეცნიერო და ანალიტიკური აზროვნების წესი; განავითარონ სწორი აღქმა ადამიანებისა და მათი გარემომცველი სამყაროს შესახებ ყურანული პერსპექტივის შესაბამისად, მისი უცვლელი ღირებულებებითა და პრინციპებით; აღიჭურვონ ღრმა ცოდნით ადამიანთა ბუნებისა და მატერიალური სამყაროს კანონებისა და მახასიათებლების შესწავლის სამეცნიერო მეთოდის თაობაზე, ისევე როგორც ადამიანთა საზოგადოებებისა და მათი პოტენციალისა და ძლიერი მხარეების შესახებ კონკრეტული დროისა თუ გეოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით, მიიღონ სარგებელი როგორც ისლამური მემკვიდრეობისგან და თანამედროვე დასავლური საზოგადოების სამეცნიერო მიღწევებისგან.

ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტმა (იასი) არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა აკა-

დემიური კვლევის სფეროში, რათა ისლამური, სოციალური და მეთოდოლოგიური კვლევების სფეროებში სწავლულებისთვის, ისე როგორც აკადემიური კვლევის ცენტრებისა და უნივერსიტეტებისთვის, გარკვეული მოდელი შეეთავაზებინა. ამ მოდელის შესწავლის, მისი კრიტიკული შეფასებისა და დამუშავების გზით, შევძლებთ არსებული ძალისხმევა და ფოკუსი გარეგნული, მატერიალური ფორმებიდან და რიტორიკული მოჩვენებითი უპირატესობიდან იმ ქმედებაზე გადავიტანოთ, რაც რეალურად მნიშვნელოვანია - ისლამურ მსოფლმხედველობაზე, მის უცვლელ ღირებულებებსა და კონცეპტებზე.

თავი მეხუთე

იასი-ს გეგმა უნივერსიტეტის კურიკულუმის განვითარების შესახებ

იასი-მ საკუთარი წვლილი შეიტანა უნივერსიტეტის კურიკულუმის (სასწავლო გეგმის) რეფორმაში იმ მოდელის მეშვეობით, რომელიც მალაიზიის საერთაშორისო ისლამურ უნივერსიტეტში (IIUM) დაინერგა. აღნიშნული მოდელი შედგება ორმაგი ძირითადის, ან ძირითადი და მეორადი სპეციალიზაციისგან შესაბამისად ისლამური გამოცხადების და ჰუმანიტარული მეცნიერებების ფაკულტეტებზე. სტუდენტის ორი სპეციალიზაციიდან ერთ-ერთი ისლამური კვლევები იქნება. ეს წარმატებული სისტემა ისეთ კურსდამთავრებულებს ამზადებს, რომლებიც მათი სპეციალიზაციის შესაბამის სფეროებში

მაღალი კომპეტენციით გამოირჩევიან და ამასთან საკუთარი ისლამური იდენტობის სწორი აღქმა აქვთ. გარდა ამისა, ისინი თვალშისაცემ მოწუფულობას, ისლამური მსოფლმხედველობისა და ცივილიზაციის განვითარებაში მუსლიმური თემის როლის შესახებ ღრმა ცოდნასა და გაგებას ავლენენ. უნივერსიტეტის კურიკულუმისთვის კი რეფორმის ყოვლისმომცველი გეგმა შემუშავდა.

აღნიშნული გეგმის არსი ისლამური კვლევების ზოგადი კურსია, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი (დაახლოებით 30 კრედიტ საათი) სტუდენტს იმის შესახებ აწვდის ინფორაციას, თუ რა უნდა იცოდეს მუსლიმმა საკუთარი რელიგიის შესახებ. ეს ნაწილი ნებისმიერი სტუდენტისთვის, რომლის სპეციალიზაცია რელიგიური და სოციალური კვლევები ან ჰუმანიტარული მეცნიერებებია, სავალდებულო მეორად სპეციალიზაციას წარმოადგენს. რაც შეეხება მეორე ნაწილს (რომელიც ასევე დაახლოებით 30 კრედიტ საათს მოიცავს), მისი მიზანი მუსლიმური თემის ისტორიის, შუამავლის ცხოვრების, ისლამური ცივილიზაციისა და ტრადიციული რელიგიური (ისლამური) მეცნიერებების შესახებ ზოგადი ცოდნის მიცემაა.

ისლამური კვლევების აღნიშნული ზოგადი კურიკულუმის დამატებით, სხვა ორი ტიპის კურსიც არსებობს. პირველი კატეგორია სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არსებულ კურსებს აერთიანებს, ხოლო მეორე ტიპი რელიგიურ მეცნიერებებში სპეციალიზებულ კურსებს მოიცავს. ეს უკანასკნელი აერთიანებს ისლამურ სამართალსა და სამართალმცოდნეობას, დოქტრინასა და ფილოსოფიას *(‘ილმ უსˌულ ად-დინ),* ჰადისის

მეცნიერებებს *(‘ილმ ალ-ჰ̣ადი̄ს)*, ყურანის განმარტებებს (*‘ილმ ათ-თაფსი̄რ)*, შუამავლის ბიოგრაფიას *(‘ილმ ალ-სი̄რა),* არაბულ გრამატიკასა *(‘ილმ ან-ნაჰ̣ვ)* და რიტორიკას *(‘ილმ ალ-ბალა̄ღა).* თითოეული სტუდენტისთვის ხარისხის მისაღები პროგრამა ორი სპეციალიზაციისგან შედგება, რომლის პირველი ნაწილიც ისლამური კვლევების კურიკულუმია (არსებითი ნაწილი).

თითოეული სტუდენტის საბაკალავრო პროგრამა ერთ-ერთი ქვემოთ ჩამოთვლილთაგანი იქნება:

• ისლამური სწავლებების 30 საათი + ძირითადი საგნების 60 საათი + დამატებითი საკლასო სამუშაოს 30 საათი = სოციალური მეცნიერებების, ჰუმანიტარული მეცნიერებების ან რელიგიური სპეციალიზაციის 120-130 საათიანი პროგრამა.

• ისლამური კვლევების 60 საათი + არასავალდებულო საგნების 30 საათი + დამატებითი საკლასო სამუშაოს 30 საათი = ისლამური კვლევების 120 საათიანი პროგრამა.

• ისლამური კვლევების 60 საათი + განათლების სპეციალიზაციის 30 საათი + დამატებითი საკლასო სამუშაოს 30 საათი = ისლამური კვლევების 120-130 საათიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც პირს დაწყებით და საშუალო საგანმანათლებლო დონეზე ისლამის საფუძვლების სწავლების კვალიფიკაციას ანიჭებს.

თუკი სტუდენტი მის მეორად სპეციალიზაციას ისე დაასრულებს, რომ სწორედ ის გახდება მისი ძირითადი სპეციალიზაცია, კურსდამთავრებულს შედეგად ორი საბაკალავრო ხარისხი ექნება: ერთი ისლამურ კვლევებში, ხოლო მეორე მისი სპეციალიზაციის სხვა სფეროში.

ამ კურიკულუმის დეტალებზე საბოლოო მუშაობა 2008-2009 აკადემიური წლების განმავლობაში დასრულდა და იმედია, რომ ეს სასწავლო გეგმა მთელს ისლამური სამყაროს უმაღლესი განათლების სხვა პროგრამებისთვისაც გახდება სარგებლის მომტანი. ამგვარმა პროგრამამ უნდა მოიცვას დამატებითი საკლასო სამუშაო ისლამის ფილოსოფიაზე, ვინაიდან, ის სწორედ იმ მეცნიერებებსა და მიზნებს ეხება, რომლებიც მათ რეალურ ცხოვრებაში, პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენებას განსაზღვრავს. აღნიშნული გეგმა საკმაოდ მოქნილია, შესაბამისად, მისი ადაპტირება შესაძლებელია როგორც სხვადასხვა საუნივერსიტეტო სასწავლო გეგმებისთვის, ასევე სხვადასხვა სპეციალიზაციებისთვის დაწესებული მოთხოვნებისთვის.

იმედია, რომ მუსლიმი მოაზროვნეების, რეფორმატორების, აკადემიკოსების და სხვა, კავშირში მყოფი სპეციალისტების ძალისხმევა იმ ფორმით იქნება კორდინირებული, რომელიც მათ საშუალებას მისცემს, ერთი მხრივ, ნათელი წარმოდგენა შეუქმნან, ხოლო მეორე მხრივ წარუძღვნენ მუსლიმურ თემს, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს საკუთარი აზროვნების კორექტირება, ინსტიტუციების გამოცოცხლება, მისი პოტენციალის სწორად გამოყენება და შემოქმედებითი ენერგიისთვის თავისუფლების მინიჭება.

ავტორი:

აბდულჰამიდ აბუსულეიმანი არის ისლამური აზროვნების საერთაშორისო ინსტიტუტის (აისი) (აშშ) პრეზიდენტი; ბავშვთა განვითარების ფონდის პრეზიდენტი, აშშ; მალაიზიის საერთაშორისო ისლამური უნივერსიტეტის ყოფილი რექტორ; ის არის ასევე არაერთი ნაშრომის ავტორი, მათ შორისაა: საერთაშორისო ურთიერთობების ისლამური თეორია: ისლამური მეთოდოლოგიისა და აზროვნების ახალი მიმართულებები (1987); კრიზისი მუსლიმ აზროვნებაში (1987); ოჯახური უთანხმოება: ადამიანის ღირსებისათვის ისლამური სულისკვეთების დაბრუნება (2003); უმაღლესი განათლების გამოცოცხლება მუსლიმ სამყაროში (2007), ასევე იგი არის მრავალი არაბულენოვანი წიგნისა და სტატიის ავტორი. აბუსულეიმანს ასევე წაკითხული აქვს არაერთი მოხსენება და ლექცია უამრავ საერთაშორისო სიმპოზიუმსა და კონფერენციაზე და მნიშვნელოვანი როლი აქვს შესრულებული მათ ორგანიზებაში.

გამომცემლობა **„უნივერსალი“**

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 17 22 30, 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

იასი-ს წიგნების ადაპტირებული სერია წარმოადგენს ინსტიტუტის ძირითადი პუბლიკაციების ღირებულ კოლექციას, რომელიც შემოკლებული ფორმით არის დაწერილი, რათა მკითხველს სრული ვერსიის ძირითადი შინაარსის შესახებ წარმოდგენა შეუქმნას.

აღნიშნული ნაშრომის მთავარი დოგმატი, რომელიც ისლამური სამყაროს არსებითი შესუსტების მიზეზებს იკვლევს, იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიოსა და მისი მაცხოვრებლების ეთიკური, მონოთეისტური და ეფექტური ხედვის აღდგენის გარეშე, რომელიც ყურანის მსოფლმხედველობად მიიჩნევა, ისლამური სამყაროს ხელახალი ჭეშმარიტი და ეფექტური აღორძინება შეუძლებელია.

ისლამის „ოქროს“ ცივილიზაციით სტანდარტულ აღფრთოვანებაზე უფრო დიდი მნიშვნელობის მატარებელი ამ ეტაპზე მისი გამოუყენებელი პოტენციალის შეფასებაა, რის წარმოჩენასაც აღნიშნული ნაშრომი ისახავს მიზნად.

ჩვენი რწმენა მხოლოდ მაშინ გახდება სრულყოფილი, როდესაც უფლისადმი და მისი მოიცულისადმი, სიყვარულში სრულიად გულწრფელნი ვიქნებით. ალლაჰის სიტყვა კი ამ სამყაროში სიკეთისა და სიმართლის წმინდა, ჭეშმარიტ სიყვარულში გამოიხატება.

აბუსულეიმანის მტკიცებით, სწორედ აღნიშნული ხედვის მკაცრმა ინტერნალიზაციამ და ყურანისა და შუამავლისეული სუნას პრინციპების მკაცრად დაცვამ შეასრულა საკვანძო როლი ადრეული ისლამის ღვთის მორწმუნეების გალვანიზაციაში (სტიმულირებაში). ისინი მორალურ ნორმებს რწმენითა და სიყვარულით იცავდნენ, იმ რწმენით, რომელიც თანამედროვე მუსლიმებმა დაკარგეს, რითაც საკუთარ ბედს გამბედავად აყალიბებდნენ. ჩვენი დროის ძირითადი საჭიროება კი სწორედ ისლამური იდენტობის აღორძინებაა ყურანის ხედვიდან გამომდინარე, რაც ასევე ბოლოს მოუღებს არსებულ კატასტროფულ ვითარებას დღევანდელ მსოფლიოში.

International Institute of Islamic Thought

ISBN 978-9941-33-223-4